

საბაკალავრო პროექტი არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში  
დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის N 02/21 ოქმით  
**საბაკალავრო პროექტი არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში**  
სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი  
6ECTS

**წინაპირობები:**

საბაკალავრო პროექტზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც პროგრამის ძირითად, არჩევით და/ან თავისუფალ საგნებში დაგროვებული აქვს 204 ECTS, თანაპირობაა პრაქტიკა არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში.

**საბაკალავრო პროექტის აღწერა:**

საბაკალავრო პროექტი არქიტექტურაში წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად (ორი ან სამი სტუდენტის შემადგენლობით) მიერ შესრულებულ სამუშაოს, რომელიც შედგება თეორიული(კვლევა და მისი შედეგები) და გრაფიკული (არქიტექტურული პროექტი) ნაწილებისგან.

**საბაკალავრო პროექტის მიზანი:**

საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და დაცვის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტს შერჩეულ სფეროში კვლევის დამოუკიდებელად განხორციელების, მიღწეული შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი. /დასაპროექტებელ ტერიტორიაზე კვლევის ჩატარება, დავალების შედგენა, კონცეფციის ჩამოყალიბება, ინოვაციური, გეგმარებით სივრცითი პროექტის შექმნა და მისი როგორც გრაფიკული ისე ტექსტუალური გაფორმება, საბოლოო წარდგინება და დაცვა/.

**პროექტზე მუშაობის ფორმატი:** ყოველკვირეული შეხვედრები პროექტის ხელმძღვანელთან

**გამოყენებული მეთოდები:** საპროექტო დავალების ახსნა, რელევანტური მასალის მოძიება და ანალიზი, საკვლევი ტერიტორიის დათვალიერება კვლევის ჩატარება, ინტერაქტივი, ესკიზებზე მუშაობა, კლაუზურების შესრულება, განხილვა და შეფასება, დისკუსია, ესკიზების დამტკიცება შემოქმედებითი პროექტის შესრულება, პრეზენტაცია და თვითშეფასება.

საბაკალავრო პროექტზე მუშაობის პროცესში გამოიყენება დისკუსიის მეთოდი, რაც განუვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. აღნიშნული კომპონენტის განსახორციელებლად გამოყენებული იქნება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) და პროექტზე მუშაობისას ვერისტიკული მეთოდებიც, რაც სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას ეფუძნება. ფართოდ გამოიყენება გონებრივი იერიშის (Brain storming) მეთოდი, რაც კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას ემსახურება.

საბაკალავრო პროექტი არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში  
დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის N 02/21 ოქმით  
**საბაკალავრო პროექტი შედგება თეორიული(კვლევა) და გრაფიკული (არქიტექტურული  
პროექტი) ნაწილებისგან.**

საბაკალავრო პროექტის თეორიული ნაწილის მოცულობაა მინიმუმ 15 გვერდი, მაქსიმუმ 25 გვერდი.

**საბაკალავრო პროექტის თეორიული ნაწილი (კვლევა) უნდა მოიცავდეს:**

- შესავალს (ზოგად დახასიათებას, სიახლეს, აქტუალობას, მიზნებს, კვლევის მეთოდებს);
- ძირითად საკვლევ საკითხებსა და ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურას;
- ბიბლიოგრაფიას (პირველწყაროების, სამეცნიერო და სხვა ლიტერატურის მიმოხილვას).

**საბაკალავრო პროექტის გრაფიკული ნაწილი წარმოადგენს კვლევის საფუძველზე შექმნილ არქიტექტურულ პროექტს. მისი ვიზუალი წარმოადგენილია ტერიტორიის გენგეგმის, ფასადების, ჭრილების, გეგმების, ინტერიერული მონაკვეთების, განაშენიანების, შენობის მოცულობითი გადაწყვეტის, ფოტომონტაჟის და სხვ. ერთობლიობით.**

**საბაკალავრო პროექტი სრულდება სამ ეტაპად:**

კონცეფციის წარდგენა;

წინასწარი განაცხადი;

პროექტის დაცვა.

საბაკალავრო პროექტის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. საბაკალავრო პროექტის შესრულება ფასდება, როგორც ინდივიდუალურად შესრულებული სამუშაოების, ასევე ჯგუფურად შესრულებული სამუშაოების კუთხით. ჯგუფური შეფასების შემთხვევაში ყველა მონაწილე ფასდება ერთნაირად.

**შეფასების სისტემა**

- კონცეფციის წარდგენა - 25%
- წინასწარი განაცხადი - 35%
- პროექტის დაცვა - 40%

**კონცეფცია :**

- პროექტის მთავარი იდეა, მიზანი, კვლევითი კითხვები და ამოცანები, პროექტის ეტაპებად განაწილება, პროექტის სავარაუდო შედეგები, შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა (მოკლე კომენტარი).

**წინასწარი განაცხადი:**

სტუდენტის მიერ უკვე დამუშავებული პროექტის ნაწილი.

**საბოლოო დაცვა:**

საბაკალავრო პროექტის დაცვისას სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს:

საბაკალავრო პროექტი არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში  
დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის N 02/21 ოქმით

- A3 ფორმატის ფურცლებით აკინძული ამობეჭდილი ალბომი, რომელიც მოიცავს პროექტის თეორიულ (კვლევა) და გრაფიკულ (არქიტექტურული პროექტი) ნაწილებს;
- CD დისკზე ჩაწერილი A3 ფორმატის ფურცლებით აკინძულ ალბომი;
- საბაკალავრო პროექტის გრაფიკული, სადემონსტრაციო მასალა;

საბაკალავრო პროექტის გრაფიკული, სადემონსტრაციო მასალა (შესრულებული ხელით ან კომპიუტერულ გრაფიკაში) შესრულებული ან ამობეჭდილი უნდა იყოს A1 ფორმატის ფურცლებზე ან პლანშეტებზე (რაოდენობა დამოკიდებულია პროექტის მოცულობაზე):

### პროექტის (ალბომის) შემადგენლობა

#### 1. თავფურცელი

უმაღლესი სასწავლებელი;  
პროექტის სათაური  
სტუდენტის სახელი და გვარი;  
პროექტის ხელმძღვანელის სახელი და გვარი;  
პროექტის შესრულების წელი

#### 2. სარჩევი (ფურცლების ჩამონათვალი)

#### 3. შესავალი (ზოგად დახასიათება, სიახლე, აქტუალობა, მიზნები, კვლევის და პროექტის - განხორციელების მეთოდები);

3.1. ძირითად საკვლევი საკითხები და ნაშრომის სტრუქტურა;

#### 4. გეგმარებითი დავალების შემუშავებისათვის წინასაპროექტო კვლევა

- ფიზიკური გარემოს კვლევა;
- საპროექტო ტერიტორიის ორთოფოტო სურათი არსებული მდგომარეობით;
- საპროექტო ტერიტორიის ტოპოგეოდეზიურ რუკა;
- არსებული სიტუაციის ფოტოსურათები;
- საპროექტო ტერიტორიის ზოგადი კლიმატური მონაცემები;
- საპროექტო ტერიტორიის არსებული ბუნებრივი ფასეულობების მონაცემები;
- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიურ მონაცემები;

#### 5. საპროექტო ობიექტის დაგეგმარების მიზანშეწონილობა, ძირითადი მიზნები და ამოცანები მოცემულ ტერიტორიაზე.

#### 6. საპროექტო დავალება

#### 7. განმარტებითი ბარათი

#### 8. დასკვნები

#### 9. ბიბლიოგრაფია (პირველწყაროების, სამეცნიერო და სხვა ლიტერატურის მიმოხილვა).

#### 10. დანართი (.გრაფიკები, ცხრილები, სურათები და ა. შ.)

#### 11. საბაკალავრო პროექტის გრაფიკული ნაწილი

- ესკიზური არქიტექტურული პროექტი:

საბაკალავრო პროექტი არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში  
დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის N 02/21ოქმით

- ნახაზები: - გეგმები, ჭრილები, ფასადები, დეტალები, კვანძები (მ. 1:100, 1:50, 1:25);
- სიტუაციური და გენერალური გეგმები (მ 1:500; 1: 1000)
- მცირე არქიტექტურული ფორმები (საჭიროების შესაბამისად);
- ესკიზური დენდროლოგიური პროექტი(საჭიროების შესაბამისად);
- არსებული სიტუაციის ამსახველი უახლესი ფოტომასალა;
- რენდერები და ფოტომონტაჟი;
- ინტერიერის რენდერები

საბაკალავრო პროექტი არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში  
დამტკიცებულა რექტორის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის N 02/21ოქმით

**საბაკალავრო პროექტი არქიტექტურაში და ინტერიერის დიზაინში**

**შეფასების სისტემა:**

**კონცეფციის წარდგენა- 25 ქულა**

**შეფასების კომპონენტები:**

პროექტის მთავარი იდეა, მიზანი, კვლევითი კითხვები და ამოცანები, პროექტის ეტაპებად განაწილება, პროექტის სავარაუდო შედეგები, შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა (მოკლე კომენტარი) – 25 ქულა.

**შეფასების კრიტერიუმები:**

- ✓ კონცეფცია წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად - 100% -25 ქულა
- ✓ კონცეფცია წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით - 75% - 18.75
- ✓ კონცეფცია წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით - 50% - 12.5
- ✓ კონცეფცია წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით - 25% - 6.25
- ✓ კონცეფცია არ არის წარმოდგენილი ან წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით - 0%

**წინასწარი განაცხადი -35 ქულა**

სტუდენტის მიერ მიერ პროექტის უკვე შესრულებული ნაწილი

**შეფასების კომპონენტები:**

- ✓ მოცემულობის სისრულე- 9 ქულა
- ✓ პრაქტიკული დავალების ფუნქციონალურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობა -10 ქულა
- ✓ კომპოზიციური განაწილება - 8 ქულა
- ✓ შესრულება - 8 ქულა

**შეფასების კრიტერიუმები:**

**მოცემულობის სისრულე - 9 ქულა**

- ✓ პრაქტიკულ დავალებაში მოცემულობა შემადგენლობის თვალსაზრისით ზედმიწევნით სრულია - 100% (9 ქულა);
- ✓ პრაქტიკულ დავალებაში მოცემულობა შემადგენლობის თვალსაზრისით პრაქტიკულად სრულია - 75% (6.75 ქულა); პრაქტიკულ დავალებაში მოცემულობა შემადგენლობის თვალსაზრისით არასრულია. დაშვებულია არსებითი ხასიათის შეცდომები მოცემულობასთან მიმართებაში - 50% ( 4.5 ქულა);
- ✓ პრაქტიკულ დავალებაში მოცემულობა შემადგენლობის თვალსაზრისით ბუნდოვანია. წარმოდგენილია ერთი ან ორი სავალდებულო ფრაგმენტი - 25% (2.25 ქულა );
- ✓ პრაქტიკული დავალების შემადგენლობა არ შეესაბამება მოცემულობას - 0%.

საბაკალავრო პროექტი არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში  
დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის N 02/21 ოქმით

**პრაქტიკული დავალების ფუნქციონალურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობა - 10 ქულა**

- ✓ ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პრაქტიკული დავალება სრულია და შესრულებულია მაღალ დონეზე -100% ( 10 ქულა);
- ✓ ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პრაქტიკული დავალება სრულია, მაგრამ მისი წარმოდგენის პროფესიული ხარისხი დასახვეწია -75% (7.5 ქულა);
- ✓ ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პრაქტიკული დავალება არასრულია. ფუნქციის და ფორმის შესაბამისობაში ხარვეზებია და გაუაზრებელია ტექნოლოგიური პროცესი -50% (5 ქულა);
- ✓ ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პრაქტიკული დავალება ნაკლოვანია. არ არის ფუნქციის და ფორმის შესაბამისობა - 25% ( 2.5 ქულა);
- ✓ სტუდენტმა ვერ შეძლო პრაქტიკული დავალების ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობის უზრუნველყოფა -0%

**კომპოზიციური განაწილება - 8 ქულა:**

- ✓ პრაქტიკულ დავალებაში შემადგენლობის კომპოზიციური განაწილება სრულყოფილია და მაღალ დონეზეა წარმოდგენილია - 100% ( 8 ქულა);
- ✓ პრაქტიკულ დავალებაში შემადგენლობის კომპოზიციური განაწილება პრაქტიკულად სწორია, მაგრამ არ არის სრულყოფილი - 75% (6 ქულა);
- ✓ პრაქტიკულ დავალებაში შემადგენლობის კომპოზიციური განაწილებაში დაშვებულია არსებითი ხასიათის შეცდომები - 50% (4 ქულა); პრაქტიკულ დავალებაში შემადგენლობის კომპოზიციური განაწილება არასრულია და ფრაგმენტული - 25% ( 2 ქულა);
- ✓ პრაქტიკულ დავალებაში შემადგენლობის კომპოზიციურად არ არის განაწილებული -0%

**შესრულება - 8 ქულა:**

- ✓ გრაფიკული შესრულების და მხატვრული-ესთეტიური თვალსაზრისით პრაქტიკული დავალება სრულად არის დამუშავებული, დამოუკიდებლად არის მომზადებული და შესრულებულია მაღალ დონეზე - 100% ( 8 ქულა);
- ✓ პრაქტიკული დავალება პრაქტიკულად სრულად არის დამუშავებული, დამოუკიდებლად არის მომზადებული, მაგრამ შესრულების ტექნიკა, მისი წარმოდგენის პროფესიული ხარისხი დასახვეწია -75% (6 ქულა);
- ✓ გრაფიკული შესრულების და მხატვრულ-ესთეტიური გადაწყვეტის თვალსაზრისით პრაქტიკული დავალება ნაკლოვანია. შესრულების ტექნიკა და ვიზუალური მხარე ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელია- 50% (4ქულა);
- ✓ გრაფიკული შესრულების და მხატვრულ-ესთეტიური გადაწყვეტის თვალსაზრისით პრაქტიკული დავალება დაუსრულებელია და მეტად ნაკლოვანია,

საბაკალავრო პროექტი არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში  
დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის N 02/21 ოქმით  
ფრაგმენტების დამუშავებაში და შესრულების ტექნიკაში დაშვებულია არსებითი  
ხასიათის შეცდომები. ვიზუალური მხარე ნაკლებად დამაკმაყოფილებელია - 25%. (2  
ქულა);

- ✓ გრაფიკული შესრულების და მხატვრულ-ესთეტიური გადაწყვეტის თვალსაზრისით  
პრაქტიკული დავალება შეუსრულებელია - 0%.

## **საბაკალავრო პროექტის დაცვა-40 ქულა**

### **კომპონენტები**

- ✓ საპროექტო დავალების პირობების დაცვა პროექტის შემადგენლობის  
თვალსაზრისით - 7 ქულა
- ✓ პროექტის მხატვრულ-ესთეტიური და პროფესიული ხარისხი - 7 ქულა
- ✓ პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობა - 8 ქულა
- ✓ საბაკალავრო პროექტის თეორიული ნაწილის (კვლევის) სტრუქტურა - 8 ქულა
- ✓ პრეზენტაცია -10 ქულა

### **შეფასების კრიტერიუმები:**

**საპროექტო დავალების პირობების დაცვა პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით - 7  
ქულა:**

- ✓ საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით  
სრულია, მასშტაბი დაცულია, კომპოზიციური განაწილება კარგია, წარმოდგენილია  
მაღალ დონეზე 100% (7 ქულა);
- ✓ საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით  
სრულია. მასშტაბი დაცულია, მაგრამ კომპოზიციური განაწილების მხრივ  
აღინიშნება ნაკლოვანებები 75% ( 5.25 ქულა );
- ✓ საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით  
პრაქტიკულად სრულია. მასშტაბი დაცულია, პროექტის ზოგიერთი ფრაგმენტი  
ხარვეზებითაა წარმოჩენილი - 50% ( 3.5 ქულა);
- ✓ საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით  
ნაკლოვანია. პროექტის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია გამოხაზული. მასშტაბი  
დარღვეულია - 25% (1.75 ქულა);
- ✓ სტუდენტმა ვერ შესძლო საპროექტო დავალების პირობების დაცვა პროექტის  
შემადგენლობის თვალსაზრისით- 0%.

**პროექტის მხატვრულ-ესთეტიური და პროფესიული ხარისხი - 7 ქულა:**

- ✓ მხატვრულ-ესთეტიური თვალსაზრისით პროექტი სრულია და შესრულებულია  
მაღალ დონეზე -100% (7 ქულა);
- ✓ მხატვრულ-ესთეტიური თვალსაზრისით პროექტში ხარვეზებია. თუმცა  
პრაქტიკულად გათვალისწინებულია მასალების ფაქტურა, კოლორისტიკა,  
ანტურაჟი - 75% (5.25 ქულა );

საბაკალავრო პროექტი არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის N 02/21 ოქმით

- ✓ მხატვრულ-ესთეტიური თვალსაზრისით პროექტი არასრულია. ნაწილობრივ არის გათვალისწინებული მასალების ფაქტურა, კოლორისტიკა, ანტურაჟი -50% ( 3.5 ქულა);
- ✓ მხატვრულ-ესთეტიური თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. არ არის გათვალისწინებული მასალების ფაქტურა, კოლორისტიკა, ანტურაჟი - 25% (1.75 ქულა);
- ✓ პროექტის მხატვრულ-ესთეტიური და პროფესიული შესრულება ნულოვანია - 0%.

**პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობა - 8 ქულა:**

- ✓ ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი სრულია და შესრულებულია მაღალ დონეზე - 100% (8 ქულა );
- ✓ ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი ნაწილობრივ სრულია. ფუნქციის და ფორმის შესაბამისობა დაცულია, მაგრამ ნაკლებად გააზრებულია ტექნოლოგიური პროცესი- 75% ( 6 ქულა);
- ✓ ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი არასრულია. ფუნქციის და ფორმის შესაბამისობაში ხარვეზებია და ნაკლებად გააზრებულია ტექნოლოგიური პროცესი - 50% ( 4 ქულა );
- ✓ ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. არ არის ფუნქციის და ფორმის შესაბამისობა - 25% (2 ქულა);
- ✓ სტუდენტმა ვერ შესძლო პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობის უზრუნველყოფა - 0%.

**საბაკალავრო პროექტის თეორიული ნაწილის (კვლევის) სტრუქტურა - 8 ქულა:**

- ✓ კვლევითი ნაწილის სტრუქტურა სრულად შეესაბამება დასმულ ამოცანას, ტექსტი კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები მაქსიმალურად თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა მაქსიმალურად გამოკვეთილია – 100% (8 ქულა);
- ✓ კვლევითი ნაწილის სტრუქტურა შეესაბამება დასმულ ამოცანას, ტექსტი ორგანიზებულია, მონაკვეთები მთლიანობაში თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა მეტ-ნაკლებად გამოკვეთილია – 75% (6 ქულა);
- ✓ კვლევითი ნაწილის სტრუქტურა ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას, ტექსტი ნაკლებად ორგანიზებულია, ნაშრომში დარღვეულია ტექსტის ლოგიკა, შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა ბუნდოვნად იკვეთება - 50% (4 ქულა);
- ✓ კვლევითი ნაწილის სტრუქტურა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას, ტექსტი არაორგანიზებულია, დარღვეულია ტექსტის ლოგიკა, შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა არ იკვეთება - 25% -(2 ქულა);
- ✓ კვლევითი ნაწილის სტრუქტურა არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, ტექსტი არაორგანიზებულია, დარღვეულია ტექსტის ლოგიკა, შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა არ იკვეთება - 0%

**პროექტის პრეზენტაცია (ზეპირი) – 10 ქულა:**



საბაკალავრო პროექტი არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში  
დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის N 02/21 ოქმით

- ✓ მსჯელობა გამართული და დამაჯერებელია. ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად, საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით -100% (10 ქულა);
- ✓ მსჯელობა პრაქტიკულად სრულია, თუმცა ნაკლებად დამაჯერებელია. პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებაში ცალკეული ხარვეზებია - 75% (7.5 ქულა);
- ✓ პრეზენტაცია არადამაკმაყოფილებელია. მსჯელობა არასრულია და ნაკლებად დამაჯერებელია. პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებაში ხარვეზებია - 50% (5 ქულა);
- ✓ მსჯელობა ნაკლოვანია და ფრაგმენტული. ვერ ასახავს წარმოდგენილი პროექტის შინაარსს - 25% (2.5 ქულა);
- ✓ სტუდენტმა ვერ შეძლო პრეზენტაცია და პროექტის დაცვა. მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის - 0.

საბაკალავრო პროექტი არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში, თეორიული ნაწილი შესრულებული უნდა იყოს საუნივერსიტეტო ნაშრომის APA სტილის მოთხოვნათა დაცვით გაფორმების შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად.

საბაკალავრო პროექტი არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში სრულდება წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად; საბაკალავრო პროექტი არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში, შესრულების პროცესში საკითხები, რომლებიც დარეგულირებული არ არის წინამდებარე ინსტრუქციით, რეგულირდება საბაკალავრო სწავლების დებულების შესაბამისად.

საბაკალავრო პროექტი არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში, საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერის, საბჭოს წევრების და სტუდენტის მიერ პროექტის შესრულების პროცესში თითოეული ეტაპის დაცვა და გადაგზავნა/გადავადება ხორციელდება საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით დადგენილი ვადების დაცვით.

საბაკალავრო პროექტი არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში  
 დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის N 02/21ოქმით  
 საბაკალავრო პროექტი არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში, კონცეფციის, წინასწარი  
 განაცხადის და პროექტის დაცვის შეფასების ფორმები:

საბაკალავრო პროექტის კონცეფციის შეფასების ფორმა



----- სასწავლო წლის ----- სემესტრი  
 (შესაბამისი სასწავლო წელი) (შესაბამისი სემესტრი)

საბაკალავრო პროექტის კონცეფციის შეფასება

სკოლა:

ბაკალავრის სახელი და გვარი:

საბაკალავრო პროექტის დასახელება:

კომპონენტი	მაქსიმალური შეფასება	მიღებული შეფასება
პროექტის მთავარი იდეა, მიზანი, კვლევითი კითხვები და ამოცანები, პროექტის ეტაპებად განაწილება, პროექტის სავარაუდო შედეგები, შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა (მოკლე კომენტარი)	25 ქულა	
<b>საბოლოო ქულა</b>	<b>25</b>	

თავჯდომარე

ხელმძღვანელი

ექსპერტი

თარიღი:

საბაკალავრო პროექტი არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში  
დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის N 02/21ოქმით

საბაკალავრო პროექტის წინასწარი განაცხადის შეფასების ფორმა



----- სასწავლო წლის ----- სემესტრი  
(შესაბამისი სასწავლო წელი) (შესაბამისი სემესტრი)

საბაკალავრო პროექტის წინასწარი განაცხადის შეფასება

სკოლა:

ბაკალავრის სახელი და გვარი:

საბაკალავრო პროექტის დასახელება:

კომპონენტი	მაქსიმალური შეფასება	მიღებული შეფასება
მოცემულობის სისრულე	9 ქულა	
პრაქტიკული დავალების ფუნქციონალურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობა	10 ქულა	
კომპოზიციური განაწილება	8 ქულა	
შესრულება	8 ქულა	
<b>საბოლოო ქულა</b>	<b>35</b>	

თავჯდომარე

ხელმძღვანელი

ექსპერტი

თარიღი:

საბაკალავრო პროექტი არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში  
 დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის N 02/21ოქმით  
 საბაკალავრო პროექტის საბოლოო დაცვის შეფასების ფორმა



----- სასწავლო წლის ----- სემესტრი  
 (შესაბამისი სასწავლო წელი) (შესაბამისი სემესტრი)

საბაკალავრო პროექტის საბოლოო დაცვის შეფასება

სკოლა:

ბაკალავრის სახელი და გვარი:

საბაკალავრო პროექტის დასახელება:

კომპონენტი	მაქსიმალური შეფასება	მიღებული შეფასება
საპროექტო დავალების პირობების დაცვა პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით	7 ქულა	
პროექტის მხატვრულ-ესთეტიური და პროფესიული ხარისხი	7 ქულა	
პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობა	8 ქულა	
საბაკალავრო პროექტის თეორიული ნაწილის (კვლევის) სტრუქტურა	8 ქულა	
პრეზენტაცია	10 ქულა	
<b>საბოლოო ქულა</b>	<b>40</b>	

თავჯდომარე

ხელმძღვანელი

ექსპერტი

თარიღი: